ოქმი:**ო12. 3724050001**

თარიღი:**19/02/2024**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 16
თებერვალი
ქ.ოზურგეთი
15.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, მ. ჩხიკვიშვილი, გ. სირაძე, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა). ი. პ სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: მაკა ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა). ი. პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: მაია ქუტიძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ჭყონიამ, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში 44 საბავშვო ბაღია, 845 თანამშრომლით და 2000-ზე მეტი აღსაზრდელით. ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, იზრდება ცენტრის ბიუჯეტიც, 2022 წლს იყო 5,5 მილიონი ლარი, 2023 წელს -7 მილიონი, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტი 8 მილიონია, იზრდება და მრავალფეროვანი ხდება კვების რაციონი, თანამშრომელთა ხელფასები, მაღლდება განათლების მიწოდების დონე და არმზრდელ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია, ბაღების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, მთავრდება სოფელ ნაგომრის ბაღის რეაბილიტაცია და მარტის თვეში აღდგება მუშაობა, სოფელ ნატანების ბაღში მიმდინარეობს რემონტი, მარტის თვეშივე გაიხსნება სოფელ შრომის მეორე ბაღი, გასულ წელს გაიხარჯა 7 მილიონი, რაც განპირობებულია აღსაზრდელთა გამოუცხადებლობის გამო კვების ხარჯების შემცირებით, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა გაწეულ ხარჯებზე, პერსონალის ტრენინგებზე და ა.შ. ინფორმაციის

მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ბ. მელუამ დასვა შეკითხვა-ტრენინგები ტარდებოდა თუ არა ონლაინ რეჟიმში?, უპასუხეს რომ ტარდებოდა და შედეგიანიც იყო. კომისიის წევრი დ. მდინარაძე დაინტერესდა, რომ სათამაშოების შეძენისას თუ ითვალისწინებდნენ ტყვიის შემცველობის კონტროლს? უპასუხეს, რომ მაქსიმალურად აკონტროლებენ ტყვიის შემცველობას. სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა დასვა შეკითხვა - მართალი იყო თუ არა მასმედიაში გაჟღერებული ფაქტი საბავშვო ბაღებში უვარგისი ხორცის შეტანის თაობაზე? განუმარტეს, რომ ინფორმაცია იყო ტყუილი. შესაბამისი ლაბორატორიიდან მიღებული დასკვნით ხორცი ვარგისიანი იყო და აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული საქმიანობა და მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ქუტიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2023 წელში ცენტრის ბიუჯეტი შედგენდა 222 ათას ლარს, კონკრეტულად ისაუბრა გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე, ინფექციური და რესპირატორული დაავადებების გამოვლენასა და დაავადებული მოქალაქეების რაოდენობაზე, აღნიშნა, რომ ცენტრი სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისას ფინანსდება როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ბიუჯრტიდან, ცენტრი სამედიცინო დაწესებულებებიდან აგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას და წრადგენს შესაბამის ორგანოებში. ისაუბრა c-გეპატიტისა და შიდსის ტესტირებასა და შემთხვევებზე, კერძოდ 2023 წელში აღრიცხული იყო 11- გეპატიტის და 1-შიდსის შემთხვევა, ისაუბრა გადამდებ დაავადებებზე და მათი პრევენციისათვის გატარებულ ღონისძიებებზე. ისაუბრა სანიტარულ-ეპიდომოლგიურ ღონისძიებებზე, რომელიც ტარდება საბავშვო-საღმზრდელო დაწესებულებებში და სხვა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობა და მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი